საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

ნინო ხარიტონაშვილის
მოსამართლეობის კანდიდატის ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	10	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	90	100

სახელი, გვარი: ი. ...

თარიღი : 09.07.2021.

თამარ ღვამიჩავა - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის **ნინო ხარიტონაშვილის შეფასება.**

2021 წლის 29 ივნისს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 2 ნოემბრის №1/138 განკარგულების საფუძველზე, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა მეორე შესარჩევი კონკურსი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

გავეცანი კონკურსში მონაწილე კანდიდატის თაობაზე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით მოპოვებულ ინფორმაციას, რომელიც გასაცნობად წარედგინა საბჭოს თვითოეულ წევრს. ასევე მონაწილეობა მივიღე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ **ნინო ხარიტონაშვილის** საჯარო მოსმენაში, რომელიც გაიმართა **2021 წლის 30 ივნისს.** იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს როგორც სამართლებრივი ასევე ზოგადი ხასიათის შეკითხვები.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ **ნინო ხარიტონაშვილს** არ გააჩნია სამოსამართლო გამოცდილება, მისი შეფასება განხორციელდა ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით - სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი უნდა შეფასედეს, ამავე კანონის 36^3 მუხლის გათვალისწინებით. კეთილსინდისიერების კრიტერიუმთან მიმართებით, კანდიდატის შეფასება უნდა განხორციელდეს 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტის მახასიათებლების მიხედვით და ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე.

კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატები უნდა შეფასდნენ ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 6 მახასიათებლის მიხედვით და მათთვის ქულების მინიჭება უნდა განხორციელდეს ამავე მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი წესით, თითოეული ქულის დასაბუთებულობის საფუძველზე.

- **საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია კანდიდატის შესახებ.**

კანდიდატი ნინო ხარიტონაშვილი გახლავთ 40 წლის. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის დოქტორი, თსუ).
სპეციალობით მუშაობის გამოცდილება 17 წელი
სამუშაო ადგილი სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატა" - იურიდიული სამსახურის სპეციალისტი.

რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის - გულისხმიერებას, სამართლიანობას,

პასუხისმგებლობის გრძნობას, ანალიზისა და მოსაზრებათა მკაფიოდ ჩამოყალიბების უნარს, კრიტიკის მიმღეობას, სიახლეებზე სწრაფად რეაგირების უნარს, პრინციპულობას და ა.შ. რეკომენდატორებიდან ერთი კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებში უთითებს, რომ მას შეუძლია ხისტად დაიცვას საკუთარი პოზიცია. თუმცა, პრობლემის გაანალიზების შემდეგ შეუძლია დაინახოს პოზიციის ნაკლოვანებები და აღიაროს სხვისი უპირატესობა. ხოლო მეორე რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატის სუსტ მხარეს წარმოადგენს მისი ზედმეტი მორიდებულობა.

გამოკითხული რესპოდენტებიდან: კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას ყველა იცნობს - კარგად; ყველა რესპოდენტის აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით ყველა რესპოდენტი კანდიდატს აფასებს - ძალიან კარგად.

კანდიდატ ნინო ხარიტონაშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული შემდეგ პროფესიულ-სასწავლო ღონისძიებებში:
-ნოტარიატი - ნოტარიუსთა საერთაშორისო კავშირი, ნოტარიატის მსოფლიო უნივერსიტეტი - სასწ. კურსი, რომი, იტალია.
-საბაზისო კურსი მედიაციაში - საქართველოს მედიატორთა ასოციაციის და ედვარდსის მედიაციის აკადემიის ერთობლივი პროგრამა - ტრენინგი, თბილისი.
-ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსი - WIPO-ს აკადემია, საქპატენტი - ტრენინგი, თბილისი.
-ადმინისტრაციული სამართლის ფორუმი - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის - ტრენინგი, თბილისი.
-საერთაშორისო კონფერენცია „საოჯახო საკუთრების რეჟიმები 2016/1103/1104 რეგულაციებთან მიმართებაში" - ტრენინგი, ბუდაპეშტი, უნგრეთი.
-საჯარო პოლიტიკის ანალიზი, პროექტი: „საჯარო მმართველობის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში" - მთავრობის ადმინისტრაცია, UNDP - ტრენინგი, თბილისი.
-სიახლეები საჯარო სამსახურის გავლის წესში და სისტემაში გასატარებელი ცვლილებები - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი - ტრენინგი, თბილისი.
-დროის მართვა და გუნდური მუშაობა - სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სასწავლო ცენტრი - ტრენინგი.
-ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი - ტრენინგი, თბილისი.
-პრეზენტაციის უნარები და წერილობითი კომუნიკაცია - USAID - ტრენინგი, თბილისი.
-სამართლებრივი ჩარჩო საქართველოში - USAID - ტრენინგი, თბილისი.

-კანდიდატი გახლავთ კონსტიტუციის 42-ე მუხლი -კლინიკის პროექტი, მონაწილე;
-არასამთავრობო ორგანიზაცია „Youth Centre of Civil Education", პროექტი "Street Law" - ტრენერი;
-პროექტი მიტარბი 360-ის ფარგლებში მოწვეული ლექტორი, ინტელექტუალური სამართლის მოკლე კურსი;
-მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი, კლიენტთა კონსულტირების ტრენინგის ტრენერი;

-საერთაშორისო ორგანიზაცია „Save the Children" - მოწვეული ლექტორი, კურსი - შრომის სამართალი და სხვა.
-ნოტარიუსთა საერთაშორისო კავშირის ინდივიდუალური წევრი 2015 წლიდან;
-მიღებული აქვს მადლობები:
-2004 უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის (ლადო ჭანტურიას) მადლობა მოსამართლეთა კონფერენციის ორგანიზებაში მონაწილეობისათვის;
-2012 სს თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის (ვახტანგ ბუცხრიკიძის) მადლობა აუდიტორული შემოწმების შედეგად მიღებული უმაღლესი შეფასებისათვის;
-2016 სსიპ ,,საქართველოს ნოტარიუსთა პალატის" თავმჯდომარის მადლობა პირად საქმეში შეტანით (N19/კ), 2016 წლის 24 თებერვალი.

-2018 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: ,,მესამე პირები სამოქალაქო პროცესში".

კანდიდატი ახორციელებს სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას:
კანდიდატი უთითებს რომ იგი არის - თბილისის ღია უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ავტორი სალექციო კურსის ,,შედარებითი სამოქალაქო პროცესი";
-საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი;
-გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. კითხულობს ლექციებს სამოქალაქო პროცესში, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალში, სანოტარო სამართალში; შემუშავებული აქვს მოდული საქართველოში შრომის სამართლის განვითარებაზე.
-მოწვეული ლექტორი სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სასწავლო ცენტრში - ,,სამოქალაქო პროცესი".

კანდიდატს გამოქვეყნებული აქვს შემდეგი სტატიები და მონოგრაფიები:
-2020 წელი, მონოგრაფია - ,,მესამე პირების საპროცესო სამართალში (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი)", გამომცემლობა ,,ბონა-კაუზა";
-მედიაცია ქართულ ნოტარიატში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული 2018-2019 წელი, სპეციალური გამოცემა, თსუ, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი;
-2019 წელი, დასაქმებისათვის საჭირო შრომითი უნარები, მოდული შრომის სამართლის განვითარება, საერთაშორისო ორგანიზაცია ,,გადავარჩინოთ ბავშვები";
-2017 წელი, მესამე პირები როგორც სამოქალაქო სამართალწარმოების სუბიექტები სამართლის ჟურნალი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფოუნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017 ISSN 2233-3746 , N1, 2017.
-2017 წელი, მესამე პირები საზოგადოებაში თანამედროვე თანამშრომლობისა და პარტნიორობის სამსახურში, მე-3 დისციპლინათა შორისი სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენციის ,,თანამედროვე საზოგადოება და თანამშრომლობა" მასალები, ვარშავა, პოლონეთი, 01.07.2017.
-2017 წელი, მესამე პირები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, სამეცნიერო პრაქტიკული გამოცემა საარბიტრაჟო და სამოქალაქო პროცესი, N2 (2017), PI NФC77-29216б consultant.ru, (თანაავტორი მაქსიმ გორელოვი);
-2017 წელი, მესამე პირები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო საქმისწარმოების აქტუალური პრობლემები, მე-5 სამეცნიერო

პრაქტიკული კონფერენციის სტატიების კრებული, ჩელიაბინსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, (თანაავტორი მაქსიმ გორელოვი);
-2017 წელი, მესამე პირები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, რუსეთის მართლმსაჯულების სახელმწიფო უნივერსიტეტის კაზანის ფილიალი, სამართლის გამოყენებისა და რეალიზაციის საშუალებათა სრულყოფა, რუსეთის მე-4 სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენციის მასალები, სტატიათა კრებული, ISBN 978-5-9690-0366-8, (თანაავტორი მაქსიმ გორელოვი);
-2017 წელი, ,,სამართლისა და მორალის ქრისტიანული გაგება", საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია ,,ეკონომიკა, ქრისტიანობა და სოციალური ინსტიტუტები", კონფერენციის მასალები, მინსკი 28-29 იანვარი, 2017.
-2016 წელი, ,,მესამე პირების მონაწილეობის პრობლემატიკა სამოქალაქო პროცესში", სამეცნიერო პროცესების საერთაშორისო ნაკრები «European Cooperation», Vol 4, No 11 (2016), განთავსებულია ბმულზე: http://we.cmconsulting.pl/index.php/we/article/view/151/460.
-2016 წელი, მესამე პირების ჩართვის მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში, THE SIGNIFICANCE OF INTERVENTION IN THE CIVIL PROCEDURE, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, გამოცემის შესრულების თარიღი 04. 2016, http://www.lawandworld.ge/uploads/magazine/magazine_N4.pdf;
-2015 წელი, ,,სამოქალაქო პროცესში მონაწილე მესამე პირების ინსტიტუტის განვითარების ისტორიული მიმოხილვა" , საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი ,,ცხოვრება და კანონი" N4(32), 2015;
-2008 წელი, ,,კერძო საჩივარი" სსიპ ,,ახალციხის ინსტიტუტი", სამეცნიერო კონფერენცია;

კანდიდატი ნინო ხარიტონაშვილი მონაწილეობდა დამოუკიდებელი ინსპექტორის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს და სტრასბურგის სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში.

კანდიდატს არ აქვს ჩაბარებული მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა.

კანდიდატ ნინო ხარიტონაშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხი. აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატს საკუთრებაში აქვს მსუბუქი ავტომანქანა.
მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში მის სახელზე რეგისტრირებულია შპს „მიდვეი კაფეს" 25%-იანი წილი.
ბოლო სამი წლის განმავლობაში, კანდიდატი რამდენჯერმე იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების (საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა)ჩადენისათვის; ჯარიმები გადახდილია დროულად.
ნინო ხარიტონაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა ან/და ადმინისტრაციული წარმოება არ დაწყებულა.
ნინო ხარიტონაშვილი მხარედ მონაწილეობდა შემდეგ საქმეებში:
-სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ - დავის საგანი: მუდმივი შრომითი ურთიერთობის აღიარება, შრომითი ხელშეკრულების სიყალბის აღიარება, სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 20 ივნისის განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე).

-სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ - დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, ინფორმაციის გამოთხოვა (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 3 ივლისის განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე);
-სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ - დავის საგანი: სამსახურში აღდგენა, სახელფასო დავალიანებისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე);
-სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ - დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, ტოლფას სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე);
-სამოქალაქო საქმეში მოპასუხედ - დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ).
-კანდიდატი დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა.
-კანდიდატი იყო მოსარჩელე შრომით სამართლებრივ დავაზე.
-ნინო ხარიტონაშვილი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.
-კანდიდატმა წარმოადგინა პუბლიკაცია - „მესამე პირების ჩართვის მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში“.

- **კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით.**

კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის გაცნობისას ჩანს, რომ იგი ფინანსურ და სხვა მოქალაქეობრივ ვალდებულებებს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ასრულებს, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმა (მოძრაობის წესების დარღვევების თაობაზე) გადახდილია დროულად, კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვით. იგი გამოირჩევა კეთილსინდისიერებით, პრინციპულობით, მედეგობით, სამართლიანობით, მიუკერძოებელობით, გააჩნია ემოციების მართვის უნარი, კორექტული და თავდაჭერილია. ასევე, საჯარო მოსმენის შედეგად არ გამოვლენილა რაიმე გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს. შესაბამისად, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

- **კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით.**

კანდიდატის შესახებ არსებული დოკუმენტების და საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია - **სამართლის ნორმების ცოდნა.**

კანდიდატის მიერ საჯარო მოსმენის დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ დასმულ სამართლებრივ შეკითხვებზე პასუხები ძირითადად იყო თანმიმდევრული, დასაბუთებული და ეფუძნებოდა ძირითადად სწორ სამართლებრივ შეფასებებს.

კანდიდატის შესახებ არსებული დოკუმენტების და ასევე მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, იცნობს კანონმდებლობას, მატერიალურ და პროცესუალურ ნორმებს, ადამიანის უფლებების სამართალს.

შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული **სამართლის ნორმების ცოდნის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **22 ქულით.**

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა გამოავლინა ანალიტიკური აზროვნების, საკუთარი მოსაზრების დასაბუთების უნარი. შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული **სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **20 ქულით.**

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გაცნობის შედეგად ვასკვნი, რომ ის აზრს გასაგებად გადმოსცემს, გააჩნია ლოგიკური მსჯელობის უნარი. საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი, ის გამართულად მეტყველებს, საუბრისას ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან საკითხებზე, ასევე შეუძლია განსხვავებული აზრის მოსმენა. შესაბამისად კანდიდატი ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული **წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **18 ქულით.**

კანდიდატის თაობაზე მოძიებულ ინფორმაციასა და მის საჯარო მოსმენაზე დაყრდნობით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, პუნქტუალური, მიზანდასახული, შრომისმოყვარე პიროვნება. აქვს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა. შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. შესაბამისად კანდიდატი ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მახასიათებლის - **პროფესიული თვისებები,** შეფასდა **15 ქულით.**

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციასა და მის საჯარო მოსმენაზე დაყრდნობით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს გააჩნია თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნის შეძენის ინტერესი. მოპოვებული ინფორმაციით, კანდიდატს რამდენიმე პროფესიულ-სასწავლო ღონისძიებაში ქვს მონაწილეობა მიღებული, რაც მიზნად ისახავს ცოდნის დონის გაღრმავებას. შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის „ე"

ქვეპუნქტით განსაზღვრული **აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **10 ქულით.**

კანდიდატი ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას. ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით განსაზღვრული **პროფესიული აქტივობის** მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შეფასდა **5 ქულით.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ **ნინო ხარიტონაშვილის** კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ჯამური შეფასება შეადგენს **90 ქულას.**

1. სამართლის ნორმების ცოდნა - **22 ქულა**
2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია -**20 ქულა**
3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი -**18 ქულა**
4. პროფესიული თვისებები -**15 ქულა**
5. აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის - **10 ქულა**
6. პროფესიული აქტივობა - **5 ქულა**

ქულათა ჯამი 90 ქულა

თარიღი: 02.07.2021.

ხელმოწერა: